

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №11 ნოემბერი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

16 (29) ნოემბერი — ხსენება წმ. დიდებულისა მოციქულისა და მახარებლისა მათესი



წმიდა მოციქული და მახარებელი მათე, რომელსაც ლებეოსსაც უწოდებდნენ, ნაზარეთში დაიბადა. იგი მეზვერე იყო – ებრაელთაგან რომის ხელისუფლებისათვის ბაჟს კრეფდა. მეზვერეები, რომლებიც ვერცხლისმოყვარეობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ, იუდეველებს ძალიან სძულდათ. იესო ქრისტემ კი, როცა მათე მეზვერე იხილა, მოუწოდა: „მომდევდი მე“ და ისიც გაჰყვა მაცხოვარს.

მათემ, რომელმაც შეიგრძნო საკუთარი ცოდვები, მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა, თვითონ კი სხვა მოციქულებთან ერთად ქრისტეს შეუდგა.

მას შემდეგ, რაც სულთმოფენობის დღეს უფლის რჩეული მოწაფეებთან ერთად სულიწმინდის მადლმოსილი ნიჭით აღივსო, იგი რვა წლის მანძილზე ქადაგებდა პალესტინაში ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად. შორეულ ქვეყნებში გამგზავრების წინ მან იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაწერა სახარება, რომელშიც აღბეჭდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება.

ახალი აღთქმის წიგნებს შორის მათეს სახარება პირველ ადგილას დგას.

მათე მახარებელმა ქადაგებით შემოიარა სირია, მიდია, სპარეთი, ბართეთი და ბოლოს ეთიოპიაში მოწამეობრივად დაასრულა მოციქულებრივი ღვაწლი.

13 ნოემბერი – ხსენება წმიდათა 100 000 მოწამეთა თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა.

12 ნოემბერი – ხსენება მოწამე იოთამ ზედგენიძისა, მეფისათვის თავდადებულისა (1465).

23 ნოემბერი – გიორგობა (ბორბალზე წამების დღე).

21 ნოემბერი – კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა.

2 ნოემბერი. ხსენება წმიდისა გაბრიელისა, აღმსარებლისა და სალოსისა (ურგებაძე, 1995 წ.)

წმ. ღირსი მამა გაბრიელი – აღმსარებელი-სალოსი (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე) დაიბადა 1929 წლის 26 აგვისტოს, გარდაიცვალა 1995 წლის 2 ნოემბერს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე – არქიმანდრიტი, ბერი, ქართველი წმინდანი. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2012 წლის 20 დეკემბერს შერაცხა წმინდანთა რიგებში და მისი ხსენების დღედ დააწესა 2 ნოემბერი.

მამა გაბრიელის სწავლებანი:

ზღვები დაშრება, მთები დაიშლება, ქრისტეს დიდება არ მოიშლება.

სიკვდილი გარდაცვალებაა, გარდაცვალების ნუ გეშინიათ, იმ წუთსვე რომ განკითხვა მოდის, იმის გეშინოდეთ, საშინელია უფლის წინაშე სამსჯავროზე წარდგომა, როდესაც გამოცდაზე გადიხართ, ღელავთ პროფესორის წინაშე, გული გიცემთ, აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ მეტია უფალი.

ღმერთი დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, მას ღმერთი უყვარს და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს, ისე შეიყვარებს.

ყველაფერი რომ გქონდეს და სიყვარული არ გაგაჩნდეს, ჩათვალე, რომ არაფერი გაგაჩნია.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

წიგნიერი მომავალი თაობა

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა გიმნაზიის მოსწავლეთა წერილები, რომლის მთავარი მიზანი ახალგაზრდობის წიგნით დაინტერესება და წიგნიერი თაობის აღზრდა გახლდათ. ამ თემას ახლა უკვე გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლე ნიკოლოზ გელაშვილი გამოეხმაურა. მან მოკრძალებით სთხოვა გიმნაზიის დირექტორს მეუფე იეგუდიელს რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

1. დღეს საგრძნობლად შემცირდა წიგნის მკითხველთა რიცხვი. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ეს?

მართლაც დასაფიქრებელია, რამ გამოიწვია ეს. მოზარდის ჩამოყალიბების პროცესში საფუძველი ეყრება უნარებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კითხვის უნარი, რომელსაც მოსწავლე სკოლაში სწავლის პერიოდში იძენს. ტექნიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის გარდაქმნას. იქმნება ახალი ინოვაციები, მაგრამ წიგნიერება ყოველთვის იყო და არის სწავლის საფუძველი.

2. რას ურჩევთ ახალგაზრდებს?

რაც შეიძლება მეტი იკითხონ და გაიმდიდრონ საკუთარი სამყარო, რადგანაც წიგნიდან მიღებული ცოდნა დიდხანს გაჰყვება და შესძენს გამოცდილებას, რომელიც მას გამოადგება ცხოვრებაში.

3. პოპულარული რომ გახდეს წიგნი, ამისათვის რა უნდა გავაკეთოთ?

იძულებით და დაძალებით წიგნი ვერ გახდება პოპულარული. უნდა გამოვიმუშავოთ წიგნის კითხვის ჩვეულება. წიგნის კითხვისას კარგად უნდა გვესმოდეს ცოდნის ფასი და გავაანალიზოთ, რამდენად სასარგებლოა ამა თუ იმ წიგნის წაკითხვა. რაც უფრო ადრეული ასაკიდან გაგვიღვივდება წიგნის სიყვარული, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვება ის.

4. თუ შეიძლება მითხარით, თვითონ თქვენ როგორი წიგნები მოგწონთ და რატომ?

მე როგორც სასულიერო პირს, მიყვარს და ჩემთვის სავალდებულოა ლოცვებისა და რელიგიური ხასიათის მქონე წიგნების კითხვა. სიამოვნებით ვკითხულობ ბრძნულ გამონათქვამებს.

5. წიგნი, რომელმაც თქვენი ცხოვრება შეცვალა.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები. ასევე წმ. ილია მართლის თხზულებანი.

6. რომელ ქართველ კლასიკოსს გამოარჩევდით?

ზოგადად ყველა კლასიკოსი გამორჩეულია თავისი ხედვით. ამიტომ ჩვენ სასარგებლოს უნდა ვღებულობდეთ მათი შემოქმედებიდან.

7. წიგნის კითხვის დროს თქვენი თავი თუ გიგრძვნიათ, თითქოს იქ მონაწილეობდით?

ადრე, როდესაც სათავგადასავლო წიგნებს ვკითხულობდი, ხშირად მეც განმიცდია ის ემოციები, ჩავრთულვარ იმ სამყაროში და ჩემს ფანტაზიებსაც ვაძლევდი გასაქანს.

8. თქვენი აზრით, ახლა ქართული წიგნები უფრო პოპულარულია თუ უცხოური?

სამწუხაროდ, დღესდღეობით ისეთი ინტენსივობით შემოედინება უცხოური ლიტერატურა, რომ ხშირად გვავიწყდება ჩვენივე კლასიკოსები, მაშინ, როცა გვყავს მსოფლიო დონის მწერლები, მეცნიერები და გამომგონებლები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით მსოფლიო საკაცობრიო განვითარების საქმეში.

9) და ბოლოს, რას უსურვებთ ახალგაზრდებს?

ახალგაზრდობას ვუსურვებ დრო უქმად არ დაკარგონ. სრულფასოვან პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეთ, ისევ აუცილებელია სწავლა და კითხვის უნარის გამომუშავება.

10) გმადლობთ საუბრისთვის.

საუბარი ჩაიწერა გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე ნიკოლოზ გელაშვილმა

მუშაობას ვიწყებთ ახალი იდეებითა და ორიგინალური ნამუშევრებით

გასული სასწავლო წლიდან მუშაობა დავიწყე წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში ხელოვნების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად.

წრის მიზანია მოზარდში შემოქმედებითი უნარების, მსოფლმხედველობის, ესთეტიკური გემოვნებისა და სულიერების სამყაროში სწორი ორიენტაციის უნარების გამომუშავება, რაც ააქტიურებს ბავშვის აზროვნებას, გონების აქტივობა კი უდიდესი სიკეთეა, რომელსაც ხელოვნება იძლევა.

აქედან გამომდინარე, ყოველივე ამას ადამიანი (ბავშვი) ადრეულ ასაკში უნდა ეზიაროს. ამიტომ ამ პროცესს უნდა მიეცეს ისეთი მიმართულება, რომელშიც ორიგინალურად შერწყმულია კრიტიკა და შრომა. კერძოდ, ხატვა, ფერწერა, ძერწვა და აპლიკაცია.

სურათზე გიმნაზიის ნორჩი მხატვრები მასწავლებელ ლონდა მაისურაძესთან ერთად.

სწორედ ამ დიდი მონდომებით და შორმით გასული წელი ძალიან შედეგიანი და წარმატებული გვქონდა. შევასრულეთ სამი გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე სასწავლო წლის დასასრულს მეუფის ნებართვით მოვაწყვეთ ერთდღიანი ექსკურსია დედაქალაქში. მოვინახულეთ ხელოვნების სხვადასხვა ნაკეთობები. ბავშვებს ვანახეთ ნიკო ფიროსმანის უძველესი შედევრები, ასევე დავათვალიერეთ დამწყები მხატვრების ნამუშევრები.

სასიამოვნო და ემოციურად დატვირთული დღის ბოლოს განსატვირთავად ბავშვები შევიყვანეთ მუშტაითის კულტურისა და დასვენების ბაღში.

ამ წლიდან ახალი იდეებითა და ორიგინაული ნაშრომებით მე და ჩემი ნორჩი მხატვრები ვაპირებთ ყველა ჩვენით დაინტერესებული ადამიანის გაოცებას.

ლონდა მაისურაძე. გიმნაზიის ხელოვნების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი

„ვისწავლოთ როგორ ვისწავლოთ“

დღევანდელ საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, ახალგაზრდობა მიჯაჭვულია კომპიუტერს. წიგნთან ურთიერთობას ნაკლები დრო ეთმობა. ყველა ცდილობს ინფორმაციის სწრაფად და იოლად მიღებას. მაგრამ მასში ცუდი ისაა, რომ წიგნის კითხვას და სიყვარულს ავიწყებს ახალგაზრდებს. კომპიუტერი წიგნს ვერ შეცვლის. ბევრი უნდა ვიკითხოთ, რომ ჩამოყალიბებული და ჭკვიანი ადამიანები გავხდეთ. წიგნი ჩვენს ცხოვრებაში უპირველესი უნდა იყოს, რადგან ის გვეხმარება ცოდნის მიღებაში. ცოდნა კი სწორი გზისკენ გვიბიძგებს. ცოდნა რომ არა, დღეს ალბათ არც ვიარსებებდით. ცოდნის მისაღებად მონდომებაა საჭირო. ბავშვობიდან უნდა მოვემზადოთ ცოდნის მისაღებად, ის სხვებსაც უნდა გავუნაწილოთ და გავამრავლოთ ერში.

ილია ჭავჭავაძე წინამძღვრიანთ კარის სკოლის გახსნაზე სწორად სწავლასა და ცოდნის მნიშვნელობაზე საუბრობს, ის ცოდნას ანთებულ სანთელს ადარებს, ამბობს, რომ სწავლა-განათლებაც სანთელივით ნათელს გვფენს და გზას გვინათებს ადამიანებს.

1892 წელს დაბა სტეფანწმინდაში პირველი დაწყებითი სკოლა გაიხსნა. სკოლის დაარსება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სკოლის დაარსების ინიციატორები იყვნენ ანდრია კობაიძე, პავლე ღუდუშაური, ვლადიკავკაზიდან კი დახმარების ხელს უწვდიდა მ. ყიფიანი.

ცოდნამ არ იცის მდიდარი და ღარიბი, ყველა მონდომებულს ერთნაირად უღებს კარს და ეს კარი მისთვის ბოლომდე ღიაა.

ცოდნა კაცს ყოველთვის თან დასდევს, „სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი“, – გვმოძღვრავს დავით გურამიშვილი. ნასწავლი კაცი ყველგან და ყოველთვის გამარჯვებულია, იოლად იკვლევს გზას, მაგრამ მის მისაღწევად ბევრი შრომაა საჭირო. „სწავლის ძირი მწარეა“, მაგრამ მას სასიკეთო შედეგი მოჰყვება, თუ რაიმეს მიღწევა გინდა, ცხოვრებაში მსხვერპლი უნდა გაიღო, რომ საწადელს მიაღწიო. თუ ღმერთმა ნიჭი მოგცა, ის აუცილებლად უნდა გამოიყენო, თუ არადა, დაიკარგება ღვთისაგან ბოძებული ნიჭი.

ვიცით, რომ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ როგორ უნდა ვისწავლოთ, ამასსაც სწავლა სჭირდება. არ უნდა დავიზეპიროთ თუ შინაარსს არ გავიგებთ კარგად. ასეთი ცოდნა გაგვყვება დიდხანს და თავის გზას იპოვის.

სწავლის პროცესი შრომას უკავშირდება, ჩვენი მთავარი შრომა კი სწავლაა.

ისევ დავით გურამიშვილს დავესესხოთ:

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ანა გელაძე. გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე

ახალი ღონისძიება ყაზბეგის ეკო საგანმანათლებლო ცენტრიდან

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა შემაჯამებელი პრეზენტაცია.

პრეზენტაციას ესწრებოდა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი ოთარ წამალაიძე, ეროვნული პარკის რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი მარინე ჩქარეული, დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მარიამ თათარაშვილი, ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დირექტორი სტეფანე წიკლაური.

წარმოდგენილი იქნა ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებების პრეზენტაციები რაიონის საჯარო სკოლებიდან.

მოწონება დაიმსახურა წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის X კლასის მოსწავლის, მარიამ წიკლაურის წარმოდგენილმა პრეზენტაციამ. მოკლედ გაგაცნობთ მარიამის მიერ წაკითხულ შემაჯამებელ სიტყვას.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს, რომ სუფთა გარემო ჩვენი და ჩვენი ოჯახის ჯანსაღი მომავალია. ეს რამდენად აქვთ გააზრებული საქართველოში რთული სათქმელია, მაგრამ თუ გარეთ გავალთ და დანაგვიანებულ ქუჩებს დავინახავთ, ნამდვილად ყველაფერი ნათელი გახდება.

გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გასული სასწავლო წლის განმავლობაში რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა ეკო-საგანმანათლებლო ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ. ჩატარდა ფოტოკონკურსი – რა? სად? როდის? ახალი ნახატების კონკურსი, მოეწყო ეკოტურები. ამ ეკოტურების საშუალებით ჩვენ გავეცანით რამდენიმე დაცულ ტერიტორიას, გავიგეთ ბევრი ახალი რამ, რაც მომავალში აუცილებლად გამოგვადგება. მინდა დავუბრუნდე ფოტოკონკურსს, სადაც უამრავი საინტერესო და ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ფოტოები იქნა წარმოდგენილი. ამ კონკურსებმა მოგვიტანა ის, რომ ჩვენი თვალით შევხედეთ იმ მნიშვნელოვან მოვლენას, რასაც ჰქვია გარემოს დაცვაზე ზრუნვა. გვასწავლა ის, რომ ეს ქვეყანა ჩვენია და მომავალმა თაობამ უნდა იზრუნოს მის დაცვასა და მოვლაზე. ჩვენ უნდა ვფლობდეთ გარკვეულ ინფორმაციას ჩვენს ქალაქსა და სოფელზე. კონკურსებზე გამარჯვებულ ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას. ბავშვების ასე დაინტერესება და ჩართულობა ხომ მათი დიდი ძალისხმევით მოხდა. იმედია, მომავალში მოეწყობა ასეთი ღონისძიებები და უფრო მეტი ადამიანი დაინტერესედება და ყველა, ყველა გავუფრთხილდებით ჩვენს საცხოვრებელ გარემოს და არ შევუქმნით საფრთხეს ფლორასა და ფაუნას. ამის მისაღწევად კი ერთად დგომაა საჭირო.

წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზიის X კლასის მოსწავლე მარიამ წიკლაური

საკლასო ღონისძიებები გიმნაზიაში „ანბანეთის ზეიმი“

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პირველი კლასის მასწავლებელმა ხათუნა ქავთარაშვილმა საანბანო პერიოდზე გადასვლის წინ ჩაატარა „ანბანეთის ზეიმი“, სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს პატარა ზღაპარი ანბანეთის სამეფოზე.

მეფის, სალამურასა და სხვათა როლების შესრულებისას ბავშვები გულწრფელად და საინტერესოდ ასახავდნენ მოქმედ პერსონაჟებს. ღონისძიებამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა.

გიმნაზიამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

გასულ წლებში ვსწავლობდი ყაზბეგის რაიონის სნოს საჯარო სკოლასი. ოჯახური პირობების გამო მიმდინარე სასწავლო წელს გადმოვედი წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში. წინასწარ განვიცდიდი. არ ვიცოდი, რა გარემო დამხვდებოდა აქ. გიმნაზიაში შემოსვლისთანავე მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. საოცარმა სისუფთავემ და ეკლესიურმა გარემომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მომეწონა ის, რომ თურმე ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას გიმნაზიის მოძღვრები მამა ნიკოლოზი, მამა ეგნატე მგალობელ გუნდთან ერთად პარაკლისს იხდის. ჩემი მღელვარება საბოლოოდ გაქრა, როცა გიმნაზიის დირექტორმა მეუფე იეგუდიელმა ალერსით მიმიღო და დამლოცა. ყურადღება ვიგრძენი მასწავლებელისგანაც. ჩემი კლასელებისგან უკვე გავიგე, რომ გიმნაზიაში ბევრი ღონისძიება ეწყობა, რომელშიც ყველა ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. ალბათ, მეც მივიღებ მათში მონაწილეობას. ჩემთან ერთად გიმნაზიაში სასწავლებლად გადმოვიდა ჩემი ძმა ნიკოლოზი. ორივეს გვიყვარს ხატვა. გავიგე, რომ გიმნაზიაში სწავლობს მარიამ სუჯაშვილი. მისი ნახატები ვნახე გაზეთის „ჩემი გიმნაზიის“ ფურცლებზე. მინდა მივბაძო მას, ხატვაში კარგად ვიმეცადინო და ცოდნა შევიძინო გიმნაზიის ხატვის წრეზე.

გიმნაზიაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად ვისწავლოთ. აქ განსაკუთრებული გარემოა სულიერებისა და გონებრივი განვითარებისათვის.

მარიამ ბერიძე. VI კლასი

„ჩემი გიმნაზია“

წელს პირველად შემოვდგი ფეხი სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში. ახალმოსულმა ვნახე გიმნაზიის გაზეთი, რომელიც ძალიან მომეწონა და ჩემს წერილსაც ამიტომ დავარქვი „ჩემი გიმნაზია“. ის მართლაც უკვე ჩემი გახდა.

ვსწავლობდი ზედა საზანოს საჯარო სკოლაში. როგორც კი შემოვედი გიმნაზიაში, განსხვავება მაშინვე ვიგრძენი. დიდმა სისუფთავემ და განსაკუთრებით გიმნაზიის ფოიეში გამოფენილმა ხატებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მომეწონა ჩემი მასწავლებელი ეკა სამქანაშვილი. ის ძალიან თბილია და კარგად გვასწავლის. უკვე დავუმეგობრდი ჩემ კლასელებს. გიმნაზიაში გვასწავლიან უფლის სიყვარულს, უფროსების პატივისცემას. ჩემთვის სკოლაში სიარული სახალისო და სასიხარულოა.

ყოველთვის ვოცნებობდი მეუფე იეგუდიელისა და მამა ნიკოლოზისაგან ლოცვა-კურთხევა მიმეღო. გიმნაზიაში მოსვლით ეს ოცნებაც ამიხდა.

აქ ბავშვებზე ზრუნავენ, უფრთხილდებიან. აქ ყველაფერს უფლის ხელი ეტყობა. ამას გარდა, გიმნაზიაში ორშაბათობით სწავლის დაწყებამდე ტარდება პარაკლისი, რომელიც ბავშვებს მთელი კვირის განმავლობაში სწავლისათვის ძალას გვმატებს.

მარიამ გიორგაძე. გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე

გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გიმნაზიაში

გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, მაკა ქავთარაშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარეს გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ბავშვებმა წარმოადგინეს წმ. გიორგის მოწამეობრივი ცხოვრების ამსახველი მასალები. ისაუბრეს თუ რატომ ეძახიან ქართველებს გეორგიანებს, რომ წმ. გიორგი ითვლება საქართველოს მფარველად.

ქართველებისათვის წმ. გიორგი სიმბოლოა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლისა.

თვით საქართველო, როგორც რჯულისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი, მუდამ გრძნობდა წმ. გიორგის მფარველობას.

მე-5 კლასის მოსწავლეებმა ლალი ბურდულმა, ლუკა მალასიძემ და თორნიკე გოგოლაშვილმა მოიძიეს გიორგობასთან დაკავშირებით ხევში არსებული ტრადიციები.

გიმნაზიის მუსიკისა და გალობის მასწავლებლის, ფიქრია ხაიკაშვილის დახმარებით ბავშვებმა შეასრულეს საგალობელი „წმიდა გიორგის ტროპარი“.

ღონისძიებას ესწრებოდა გიმნაზიის დირექტორი, მეუფე იეგუდიელი, მასწავლებლები და გიმნაზიის მოსწავლეები.



1. სოფელი, რომელშიც გადაღებულია „ხევისბერი გოჩა“;
2. სოფელი ხევში;
3. მწვერვალი ყაზბეგში;
4. -------- სამება?
5. რა ჰქვია ხევში ყველაზე დიდ ზვავს;
6. რელიგიური დღესასწაული ართხმოს ხეობაში.

კროსვორდი შეადგინა გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლე თემო ბუჩუკურმა

რედაქტორი **მანონი გოგიაშვილი**	**სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ წიკლაური, თემო ბუჩუკური.**	**მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია– პანსიონი**